კვირა, 18 ოქტომბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი და სალამური

№ 19

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

1909



შამფური და წეროები.

როს სუსხმა დაჰკრა
და სითბო გაჰქრა,
თოვლმა შეფუფქა
კავკასის წვერო,

ლაღათ მფრინავი,
ვით ჰაერ-ნავი
ცაზე გამოჩნდა
სამიოდ წერო.

ფრთა აწყობილნი,
სამკუთხ წყობილნი

მკერდით არღვევენ
ზღვას ჰაეროვანს
და მონაღერით,
მოგრძო კისერით
მწყობრათ იტყოდენ
ჰანგს „ლალა-ტოვანს“.
ჩვენს ტურფა მხარეს
რო ჩაუარეს,
და სასიამო
ნახეს სურათი,
ერთმა სთქვა: „ველი
არს მიმზიდველი,
იქნებ აქ ვპოვოთ
რამე სურსათი“.
მეორე იტყვის:
„ენდობით იქ ვის?
იქ სიცრუეა
გამეფებული.
ფრთებს დაგვაჭრიან,
ლაფში გაგვსვრიან,
არა, ნუ გვინდა
იმათი ფული.“
მესამე ამბობს,
ცრემლით ქვას ალბობს:
„ეჰ, ჩვენი ბედი
ზეცად სწერია,
სჯობს გავზდეთ ველად
სავათ საწიწკნელად
ვიდრე იქ საქმე
დაგვიჭერია“.
ქვეშ კი, ამ ჟამად,
ისხდენ თამამად
დრამატიული
დასის მამები
და მხიარულნი,
გაბრწყინებულნი,
ზეცად მიეპყროთ
მგზნები თვალები.

პირს ნერწყვ მომდგარნი,
სიამით მტკბარნი
შამფურებს თლიდენ
გამალებულნი.
სათუო ბედით
(წეროს იმედით)
გულს იმშვიდებდენ
მირონცხებულნი.
მაგრამ რა ნახეს?!
ფრინველნი მახეს
აცდენ, ჩრდილოსკენ
იბრუნეს პირი
და ჩვენს ბატონებს,
სცენის პატრონებს
შერჩათ მხოლოდღა
შამფურის ჩხირი.

— კი.

ეშმაკის ინტერვიუ.

გიორგი გვაზავასთან.

ერობის შესახებ თათბირმა ჩვენს თანამემამულე გიორგი გვაზავას დიდი და თანაც „ჯგირი“ სახელი მოუპოვა. ქალი და კაცი, ერი და ბერი, დღეს მასზე ლაპარაკობს, მის განს აცვიფრებელ შორს მჭვრეტელობასა და ტაქტიკოსობაზე მსჯელობს. ჩვენი საყვარელი, ნიჭით აღსავსე და ღრმა აზროვანი პოეტი გვაზავა, სავსებით დაჩრდილა საზოგადო მოღვაწე, საერობო მოსაქმე გიორგი გვაზავამ. ის საითაც უნდა გადაისროლოთ, მაინც ფეხზე დგას, რა წყალში არ ჩააგდოთ, მაინც მშრალი ამოდის.

მე ვერაფერი ვერ მიფიქრია ჩემი ძვირფასი მკითხველების განსასწავლ განსავითარებლათ, თუ არ ასეთ წარჩინებულ მოღვაწეთა საუბარით მათი გართობა. ეს არის დღევანდელი ჩემი ინტერვიუს მიზანი.

უდროო დროს დამირჩა ბ-ნ გვაზავასთან მისვლა. ის სარკის წინ იდგა და ვარდის ფერ გალსტუკს სინჯავდა. ხომ იცით ყველა „გალსტუკი“ და „ვოროტნიკი“ ერთნაირათ არ ეგუება ადამიანის სახის ფერადობას თუ ნაკვთიანობას. მიუხედავათ ასეთი საყურადღებო საქმიანობისა, თვალი შემასწრო, ძლიერ ესიამოვნა და მიმიპატიჟა:

— ოო! მობრძანდით, ბ-ნო ეშმაკო, დოსოჯით!

— უკაცრავათ, მამულიშვილო, უდროვო დროს დაგატყდით თავსა!

— რასა ბრძანებთ! პირიქით, მე ძლიერაც მერსი, ჩემი გახსენებისათვის.

— დარწმუნებული ვარ კეთილშობილური, თავადიშვილიური გრძნობა გალაპარაკებთ ეგრე, თორემ ჩემი მოურიდებელი თავდასხმა არაფრით არ შეიძლება გამართლდეს.

— Боже мой! მერმე საიდან დანასკვეთ თქვენ, რომ მე კეთილშობილი ანუ თავადიშვილი ვარ?

— კარგი ერთი თუ ღმერთი გრწამთ! ისე ლაპარაკობთ, თითქო მართლა უბრალო გლეხი კაცი იყოთ. გინდათ დამაჯეროთ, შემდეგ სადმე წამომცდეს და სასაცილოთ ამიგდონ, მაგრამ ვერა, ეშმაკის მოტყუება არც ეგრე ადვილია!!

— მაშ მე თავადიშვილი ვარ?

— კარგი თუ ღმერთი გწამთ! რისთვის გინდათ ასე უვიცი გამომიყვანოთ? ქვეყანამ იცის რომ თქვენ არა თუ უბრალო ვინმე თავადი, არამედ დიდი, დიდიგვარისა და ადგილ მამულის თავადიშვილი ხართ.

გიორგის სახე გაუბრწყინდა! მას ძლიერ ბევრი უმგზავრია სხვა და სხვა საფრანგეთებში, გერმანიებში, ინგლისებში, ევროპებში და იტალიებში, მაგრამ არსად მისთვის არ გაუმხელიათ, რომ ის წმინდა სისხლის თავადია და თავადი არა ბ-ნი აშორდიას მიერ ბოძებული „ღრამატის“ მეოხებით, არამედ მთელის თავისი ძვალ-რბილით, სულით და ხორცით, აზრით და უაზრობით, ახოვანებით და დახოვანებით.

— წარმოიდგინეთ, ბ-ნო ეშმაკო, მე ეს სრულიად არ ვიცოდი! მე ვგრძნობდი რაღაცა ფარულ ძალას ჩემს არსებაში, ვემორჩილებოდი მის ინსტიქტიურ მიდრეკილებას, მაგრამ არას დროს არ გამოვტეხივარ ჩემს თავს და არც სხვას გაუმხელია ჩემთვის, რომ მე წმინდა წყლის თავადი ვარ, ნაშთი ძველ მამულიშვილთა!

— რასა ბრძანებთ ბ-ნო, თქვენ ალბათ არ იცნობთ ქართულ ისტორიას თორემ იქ არა ერთ გზის ყოფილახრთ მონათლული სამეგრელოს „უშიშარ და უებრო“ რაინდათ. თუ არ ვცდები, თედო ჟორდანიას გამოკვლევით, ქართველი გმირი „პამპულა“, რომელიც შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილთა და მოადგა ქალაქს შიმშილით ამოსახოცათ, ეს პამპულა თქვენი არც ისე შორეული წინაპარი ყოფილა.

— ნუ თუ ეს მართალია, ბ-ნო ეშმაკო? თუ ეს მართალია! არ ვიცი რით გადავიხდი თქვენს პატივისცემას. თქვენ ძღვნად მიიღებთ ჩემგან ერთ პატარა ლექსს.

— ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს ბ-ნო გიორგი! თქვენი ლექსებიც ხომ სავსებით ადასტურებენ ბ-ნი თ. ჟორდანიას გამოკვლევას, მაგრამ მე, კერძოთ მეც მიმიძღვის მცირეოდენი ღვაწლი თქვენი გვარონების ისტორიის აღდგენაში.

— თქვენ რაღა?

— ბევრი არაფერი, მაგრამ ხომ გახსოვთ როცა პამპულა მოადგა ქალაქს მცხოვრებთა ამოსაჟლატათ, ერეკლე სიცილით გადაბრუნდა!

— მერე!

— მერე ისა, რომ როცა თქვენ განიზრახეთ ქალაქისათვის „რგოლების“ შემორტყმა, ხატისოვი სიცილით გადაბრუნდა. აქ ალბათ, რაღაც მემკვიდრეობითი მოქმედობს თქვენში. მართალია ხატისოვი ვერაფერი შვილი ერეკლეა, მაგრამ ჩვენ ხომ მის ისტორიას არ ვიკვლევთ? ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ თქვენ ჩინებული „ასლი“ ხართ პამპულა გმირისა.

— მაშ მე თავადიშვილი ვარ, შთამომავალი პამპულაანთ შტოისა და არა მაძიებელი აზნაური?

— როგორც ორჯერ-ორი ოთხია.

— მაშ რათ მისაყვედურებენ მე, მაშ რათ მემდურიან მე, მაშ რისთვის მლანძღავენ მე, როცა საერობო თათბირში სამი ივნისის კანონს ვიცავ? რა უნდათ ჩემგან, რას მერჩიან, რას მერჩიან!!..

შევშინდი! კინაღამ დაიღვარა უმანკო ცრემლი მგოსნისა!

— შეუნდე მათ, მგოსანო, რამეთუ არა იციან რასა იქმოდიან! ეს მე ვიცი და კიდევ თ. ჟორდანიამ, რომ შენ ჭეშმარიტად პამპულა ხარ მეოცე საუკუნისა, ასლი პამპულასი, მემკვიდრე მისი, ანუ საჯდომი სულისა მისისა, მაგრამ რა იცის ბნელმა საზოგადოებამ. მათ ჯერაც მაძიებელი აზნაური ჭგონიხართ ან სრულიად უბრალო გლეხი.

— ოჰ უვიცნო და უმდურნო! განუსჯელათ სჯით! მაშ ბ-ნო ეშმაკო, თქვენ თანახმა ხართ ჩემი აზრისა?

— რა ბრძანებაა! ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი ეშმაკი, თუ კი ის პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას, რომ თქვენი მაღალ გონიერი აზრი არ გაიზიაროს, არ გაინაწილოს.

— არა, ეს ხომ იცით, რომ მე სამი ივნისის საარჩევნო კანონს ვიცავ ერობისათვის?

— სწორეთ ეგ რომ ვიცი, იმიტომ მომწონხართ.

— ისიც ხომ იცით, რომ 55 ხმოსნიდან საგუბერნიო საერობო კრებაში მოქალაქეებს ექნებათ 14 ხმა, გლეხებს 12 და მემამულეებს, ანუ ჩვენ 29.

— ვიცი, როგორ არ ვიცი. ვიცი და აი ამისთვის მომწონხართ.

— ახლა შენ ჩემი ეშმაკობა ნახე! კაცო, მოურეკიათ გლეხები, ღორონთიმ იცის ვის ამოურჩევია ან რა ამოურჩეკია, მაგრამ გლეხის გასწორება ხომ არაფერს არ შეუძლია. დაუჟინიათ ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენ მეტნი ვართ, მეტი ხმოსანი უნდა გვყავდესო. შენ თითონ იცი გლეხების ჟინიანობა!

— მერე ვერაფერი ვერ მოუხერხეთ?

— ჰო, აკი ვამბობდი, ვიხმარე ეშმაკობა. აღარ გავყავი ჩვენი, თავადიშვილების ხმა, და იმათი. რიხით მოვახსენე: ბ-ნებო! ქალაქს ეყოლება 14 ხმოსანი და სოფელს კი დანარჩენი 41 ხმოსანი მეთქი.

— ტა ტა ტაა! აკი ვამბობ წმინდა პოლიტიკოსის ნიჭით ხართ აღსავსე. აბა ვინ გაგონა თქვენი გლეხობა. გლეხი საიდან მიხვდება ამას, ამ ჯოჯოხეთურ ენას!

— შორს ვუთხარი, ბ-ნო ეშმაკო, შორს! ტრაბახით არ ვიტყვი და ამისთანობაში სასტიკი ეგზამენი მაქვს დაჭერილი.

— დაგიჯერეს?

— მერმე კიდევ კოწია თუმანიშვილი შევუჩინეთ. ხომ იცით როგორ რბილათ უგებს ხოლმე ეკალს! ოჰ, მისი ჭახრაკა ენის ჭირიმე! ჩვენ კი ვქენით ჩვენი და აწე რაც უნდა ის მოხდეს! მართლა რას ემგვანება საგუბერნიო ერობა რომ გლეხებს ჩაუვარდეს ხელში?

— რასა ბრძანებთ! მე მგონია მაშინ სწორეთ მეორეთ მოსვლა დადგება: განა გაგონილა გლეხის ეკეთებული საქმე? გლეხი მუშაობისთვის არის გაჩენილი და თქვენ, კეთილშობილი წოდება კი ხელმძღვანელებათ.

— შეხს ენას შაქარი! მე მაგ აზრისა ვარ თავად! მეც მაგ აზრისა ვარ არა მარტო გლეხების, არაა მედ ქალების შესახებაც. ქალი ღმერთს ქალათ გაუჩენია, კაცი კაცად, გლეხი გლეხად, თავადი თავადათ!

— რაო, ქალებსაც უნდოდათ რამე?

— უნდოდათ და ცოტა! შენ კი იცი ბ-ნო ეშმაკო, რამდენათ ვეტრფი მე მშვენიერს იატაკს*) მე გულ დამშვიდებით არ შემიძლია მათზე ლაპარაკი.

ჩემი გული,
გაზაფხული,
გინდა იყოს ზამთარი,
ტრფობის ხდენად
მოსალხენად
განუწყეტლივ მზად არი.

---

*) ცხადია ეს სიტყვა მგოსანმა მცირე შეცდომით გადმოაბდუნა, რამეთუ სქესის ნაცვლათ იატაკი აღნიშნა.
ეშმაკი.

ვფიქრობ ქალზე
ცეცხლის ალზე
ვიწვი და ვიხრაკები,
მიყვარს ღვნობით
თანაგრძნობით
როგორც ბატის ჭუკები.

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ვინ გაიგონა, შენი ჭირიმე, ქალების საარჩევნო უფლება? არჩევაზე რომ მიდგეს საქმე, ზედაც არაკინ შემოგვხედავს.

— ესეც არ იყოს იქ, იქ რას იტყვიან?

— სად იქ, რას ამბობ? პეტერბურგში? დუმაში?

მგოსნის სახე არასოდეს ეგზომ აღფრთოვანებული არ მინახავს

— პეტერბურგში, რასაკვირველია, ის არ გვეყოფა რომ 1905 წელში ჩავიჭერით!

— ძმაო ეშმაკო! შენ ველარ გცნობ! მე არც კი მეგონა თუ ჩემი აზრის ქვეყანაზე ვინმე იქნებოდა, გარდა კ. თუმანიშვილისა. მე დიდს ყურადღებას ვაქცევ დღევანდელ ჩემს მოქმედებას. გვეყო რაც ჩავიჭერით საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე. ახლა მაინც ვეცადოთ 1905 წლის შეცდომების გასწორებას. მთავრობის ნდობა ჩვენ სრულიად დავკარგეთ. ჩვენ ისე გვიცქერიან, როგორც არა საიმედოებს! დეე სხვებს უცქირონ, მე კი, მე მინდა კეთილ საიმედო ვიყო, თავისუფლათ ვსუნთქავდე თვით ჯოჯოხეთშიაც, მინდა ჩემი ერთგულება ყველამ იცოდეს როგორც მთავრობამ, აგრეთვე ჩემმა ძმებმა, ჩვენმა თავად-აზნაურებმა. მე მინდა დიპლომი, დიპლომი კეთილ საიმედობისა. მე მინდა ქვეყნის მარილნი ხელს მართმევდენ და არ კი გამირბოდენ, როგორც რაღაცა წითელ საფრთხესა.

— ჩინებული განძრახვაა! თქვენ გინდოდათ და კიდევაც მიაღწიეთ სურვილს. თქვენს კეთილ საიმედობაში ახლა აღარავის ეშვი აღარ შეეპარება და თუ ვის?ე გლეხი ან მაძიებელი აზნაური ჰგონიხართ, ისინიც მალე დარწმუნდებიან რომ სცდებიან, სასტიკათ სცდებიან.

— ეშმაკო, მიშველე ეშმაკო; მე რომ ა. მდივანსავით მომეპყრან ხომ დავიღუპე! დუმაში რა პურიშკევიჩმა ჩემზე ცუდი რამ გაიგოს ხომ ელდა დამეცა და მოვკვდი? მაშ საიდან შემეძლო მე ქალების საარჩევნო უფლებისათვის ხმა მიმეცა. მერმე რას იტყოდენ იქ, ზევით? მერმე რა თვალით შევხედავდი მე კოწიას, მერმე როგორ ვეჩვენებოდი მე პურიშკევიჩს, რას იტყოდენ ჩემზე სახელმწიფო დუმაში! არა და ათასჯერ არა, მე მინდა ეგზამენი დავიჭირო, დიპლომი მივიღო საიმედო პირისა.

— ნუ გეშინიათ ნუ ღელავთ, ბ-ნო გიორგი! იცოდეთ თქვენი ენერგია, თქვენი ნიჭი და თქვენი შორს მჭვრეტელობა სრული თავდებია თქვენი გამარჯვებისა. ახლა კი მშვიდობით, აღარ დაგიშლით, მოირთეთ და დღეს კიდევ თქვენებურათ შეებრძოლეთ ბნელ ძალას. გახსოვდეთ გლეხებს ფრთები უნდა შეეკვეცოს, თუ სოფლის კეთილდღეობა გსურს. ერთი სიტყვით თქვენ უკეთ მოახერხებთ მშვიდობით!

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო! იმედი მაქვს ჩვენს მეგობრობას არ დაივიწყებ და ახლო ხანში კვლავ შემოივლი ჩემთან.

— ვეცდები, საქართველოს იმედო!

ეშმაკი.



მ ე ვ ო ზ ა რ ს.

—

მომეცი ხელი, წავიდეთ ერთად!
ერთხმად დავსძახოთ მწყობრი სიმღერა.
დეე, გამოჩნდეს, რასაც გვიმზადებს
ცხოვრების გზაზე ჩვენ ბედის წერა!

დე, სამსხვერპლოზე აღინთოს ცეცხლი
ზე აიკლაკნონ მისი ენები
და ამ ტაძარზე მე ავდიოდე,
უგუნურ ბრბოსგან შენაჩვენები!

ეკლის გვირგვინი თავსა მიმკობდეს,
შუბლ განახოკსა სისხლი მდიოდეს,
მიწის სიგულქვეს და ცის სიმუნჯეს
ქარი, საზარი შამომჩიოდეს;

ვეზიზღებოდე თანამედროვეთ,
როგორც მორწმუნე და მართლის მთქმელი...
ამ ძნელ წამშიაც არ მიმატოვო,
მო, მეგობარო მომეცი ხელი!

უკანასკნელად გამომეთხოვე,
აღთქმა მომეცი, დამიდე წინდათ,
რომ არ დაიხევ და გზას განაგრძობ,
ჩვენს დიად მცნებას დაიცავ წმინდათ!

მაშინ სიკვდილსაც არაფრათ ჩავსთვლი
და ტკბილ იმედათ გულს ეგ ჩამრჩება,
რომ შენ გტოვებ და, მაშასადამე,
მით უზრუნველ ვყავ მე გამარჯვება!...

ნ. ზომლეთელი.

ახალი ამბები.

თაგვების შურის ძიება. ხაშურიდან, ბ-ნი ახლად გაუშმაკებული საზარელ ამბავს გვატყობინებს. ადგილობრივ სამკითხველოს გამგეს ბ ნ კვაჭაძეს თავს დასხმიან მშიერი თაგვები და მძიმეთ დაუშავებიათ. ადგილობრივი ადმინისტრაცია მსწრაფლ გაჩენილა სამკითხველოში და სასტიკი გამოძიება მოუხდენია. წარმოიდგინეთ რას გამოუწვევია თაგვთა შურის ძიება: სამკითხველოში მხოლოდ სამი ოთხი გაზეთი მოდის თურმე და ყველა ეგრედ წოდებული, „ჭეშმარიტული“ თაგვები იმდენათ ფაქიზნი აღმოჩენილან, რომ ამგვარ ავსურნელოვან ქაღალდისათვის ხელი არ უხლიათ. ამასთანავე წიგნებიც სულ ფრანგულ ნემეცური და რუსული აღმოჩენილა. ამ გარემოებას უაღრესად აუღელვებია სამკითხველოს თაგვები და მათაც ჯავრი ბ-ნ კვაჭაძეზე უყრიათ. საგულისხმიერო ამბავია!

თევზების აჯანყება. როგორც ჩვენი კორესპოდენტი ბ-ნი კალმახი გვაუწყებს, ქართლის პამპულ-ხანს, თავად გიორგი ამილახვარს, მარტო მეტივე გლეხების გადასახადი არ ჰყოფნია და განუზრახავს თითო თევზს, რომელიც კი მის მამულზე ლიახვს ჩამოივლის ან აივლის თითო მანეთი გადაახდევინოს. თევზებს თხოვნით მიუმართავთ თავადისათვის „ნუ შეგვავიწროვებთ, არც ერთი მემამულე და არც ხაზინა არაფერს არ გვახდევინებსო“, მაგრამ ულმობელს ხანს არ შეუწყნარებია თევზთა საჩივარი; უთქვამს: „რა ვქნა, ამდენ შეიარაღებულ მცველს რჩენა ხომ უნდაო“ ამის შემდეგ თევზებს უმაღლეს ადმინისტრაციისათვის მიურთმევიათ არზა, მაგრამ იქაც უარი მიუღიათ.

ამის გამო თევზებს პირი შეუკრავთ: „თუ სადმე წყალში მოვასწრაო თავადს სამაგიეროს გადაუხადოთო“

ხათაბალა მხოლოდ ის არის, თუ როდის შეუდგება წყალი ქართლის პამპულ-ხანს!

მომავლის მსხვერპლი. ჩვენ აქ განგებ არ ვიხმარეთ ბრჭყალები. განგებ იმიტომ, რომ ამ უბრალო ამბისათვის უფრო მეტი ყურადღება მიგვეპყრო მკითხველისა. თორემ ამბავი ჩვეულებრივია.

ბ-ნი ახლად გაეშმაკებული გვწერს მიხაილოვიდან: „ამ წინაზე გორა აბგაშოვის მაღაზიაში კინაღამ ერთი უბედურობა დატრიალდა. აბგაშოვის ნოქარს სადღაც გაზეთი „მომავალი“ ეშოვნა. საბრალომ რა იცოდა თუ მომავალი ასეთ რამეს უქადიდა! ბ-ნმა აბგაშოვმა დროზე შენიშნა მის სავაჭროში გაზეთის შემოპარვა და დაუყონებლივ მიიღო ზომები „კრამოლის“ ძირიანად აღმოსაფხვრელად. ოთხად მოკეცილი გაზეთის სახეში ჩარტყმა საკმაო დარჩა, რომ მომავლის მსხვერპლი თავრეტ დასხმული სამუდამოთ მოშლილიყო.

ბ-ნი აბგაშოვი ძლიერ კმაყოფილია ამ ახალი საშვალებისა.

უცნაური სენი. შავი ქვის გავლენა, როგორც ჩვენი ჭიათურელი კორესპოდენტი ბ-ნი ივანიჩი იუწყება, თან და თან იჩენს თურმე თავისს საშიშარ გავლენას. ზოგიერთ ახალ გაზრდებს, განურჩევლათ სქესისა, დასჩემებიათ ქვების სროლა. შეღამდება თუ არა დუქნების სახურავებზე ერთი რიხინ-რიხინი ასტყდება ქვებისა. მშვიდობიან მცხოვრებლებს ჯერ ხანად მიწის ძვრა ეგონათ, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ეს უბრალო ტვინის ძვრისაგან არის გამოწვეული. დაიჭირეს ორი ასეთი ტვინ ნაძრავი ავათმყოფი: ქეთევანი და ალექსი. ამბობენ ამ სენით არა ერთი და ორია შეპყრობილიო.

აუტანია წერასა

დახე ამ ყვავსა ტიალსა
როგორ მიემხრო ძერასა!?
ეს ხინჩლიანიც შიუღვა
წვრილ წიწილების ჭერასა!
ალარ შორდება გლეხისას,
ჯზო მიდამო კერასა,
ეს იმას ნიშნავს, რომ იგი
აუტანია წერასა.
მეტად თავს გადის წყეული
ალარავისი სცხვენია,
ბრძანებს: „წიწილა ყვავისთვის
თვით უფალს გაუჩენია!
უფლის ბრძანების წინაღმდეგ
რად მიხვალ რადა გწყენია,
ეგ რომ თვით სვავმა გაიგოს
არა ხარ დასარჩენია...“
პასუხად ვუთხარ: მართალხარ
რაცა სთქვი სულ მართალია,
ეგ იქ მოხდება საცა-კი
სვავ ქორთა სამართალია.
გაგვესამართლებს ე' თოფი
სიმართლე ამის ვალია.
იგრძნობ ჭეშმარიტ სამართალს
კვესს რომ მოხვდება ტალია!

გეყოთ რაც ჰქმენით აქამდის
შენცა და სვავმან, ძერამან,
სვავმა თუ გაგათამამათ
ურცხვმა და გაიძვერამან!
ეგ ჩაიდინა იმისმა
უკულმა პირჯვრის წერამან,
მასაც მოუვლი როგორმე
ველარ გაჰკურნოს ვერამან.

ა. განჯის-კარელი.

დეპეშები.

(უცხოეთის სააგენტო)

რომი. ფერერის სიკვდილმა რომის პაპი ძლიერ ცუდს გუნებაზე დააყენა. მთელი დღეობით სასახლიდან არ გამოდის.

მადრიდი. რადგანაც ფერეროს ბრალმდებელს საქმე ჯეროვანათ არ ჰქონდა გამოძიებული და განაჩენი ნაჩქარევი მოუვიდა, ამიტომ უკან დაედევნა განსვენებულ მოღვაწეს, რომ საიქიოს მაინც გაიგოს მისი უდანაშაულობა.

ლონდონი. სუფრაჟისტკებმა ვრცელი წერილი მიიღეს ქართველი მგოსნის გიორგი გვაზავასაგან, რომელშიაც გვაზავა უმორჩილესად სთხოვს ინგლისელ ქალებს, დროებით ხელი აიღონ საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაზე. ,,ეს ბრძოლა ხელს შეუშლის ამიერ კავკასიაში ერობის შემოღებასო'' ბრძნულათ დაასკვნის ქართული პოეზიის თვალი.

პარიზი. რომის პაპის მოქმედებამ ფერეროს საქმეში ძლიერ აღელვა მთელი ქვეყნის კათოლიკობა. პარიზში დაჟინებით ამბობენ, რომ თუ ახლანდელი პაპა გადადგა ან გადააყენეს, მის ნაცვლად უთუოდ კ. თუმანიშვილს ამოირჩევენო*).

ავათმყოფი.

სარკმლიდან ვხედავ, ობოლი სხივი
გატრეცილ მტოსა ეალერსება,
ყელზე ეხვევა, გულსა უქარგავს
სატრფოს, მეგობარს და ეფერება!
ოჰ, რათ არ იცის, რომ მე მჭირია
ემაგ ალერსი და მოფერება?
აქ ჩამოეშვას, ავათმყოფ გულში,
ალერსი ტანჯულს შეეფერება!

ირგვლივ მწუხრისა ძაძა ეფარვის
არეს მდუმარეს, სერებ-მთიანსა,
ობოლი მტო კი თვის ტურფა სტუმარს
სიმღერას უმღერს გაეშნიანსა...
ვაჰმე, ის ჩაჰქრა—მტოსა ტიალსა
შემოდგომისა დასძახის ქარი,
ხანმოკლე იყო მის სიტკბოება,
დარჩა ობოლი და გულ დამწვარი!
არა, აროდეს, თუნდ ავათმყოფიც,
მსგავსს არ ვისურვებ მოალერსესა!
თუ მეის გაჰქრება, რაღათ მოვასმენ
ჩემ გულის ნადებს, ტკბილსა ლექსებსა?

იასამანი.

გურული სცენა.

ზალიკას წერილი დუმაში.

მოწყალეო ხელმწიფეო ბატონო გურიელო და დიანბეგო უჩაის ნაჩალნიკო უფალო დუმავ! აგერ ხანი ხანში მიტრიკინობს, რაც თქვენ იქინეი გაგაზავნეთ, მას მერე ყური გამოჩიჩული გვაქ და თქვენი კი ბაიბური არ იყურება. რა იქნა, ჩარხანაში ხომ არ მოგხარჩეს, ყველაყაი ჩვენ ყოლიფერს დივეთხუეთ და თქვენ ნამუსზე მივყარეთ საქმე. მარა თლა საჯაყათაა ჩვენი საქმე, წლისაგან წლამდი რომ ებლატუნო, სამართალს ვერ იშონი, პირი არაა, ღჯილი არაა, საყტარი ხუცების მაგიორ ეშმაკებით გეიფსო. თლა ფულზე წუუვიდენ თვალები, მესველე კატასავით. აგერ გუშხამ იშლიჭა ერთმა, ზე წააჯდა მეორეის რემლს თავზე, მეორემ მესამეის, მესამე დღეს თვარადა უკანვე მოგლიჯინობენ ბუზიან ჰაკი ცხენსავით, აბა ჩვენ ვინ რას გვკითხავს, ხან გვამგზითებენ, ხან გვაწინდრებენ და ვინიცის, ეშმაკმა წეიღო იგენის სული. მარა აგენმა თქვენი ჰირი წეიღო, ათასნეირ გადასახადებში თლა ტყავს გვაშპობენ, ახლა ახალი თაობა რომ ხელში ჩაიდნენ და საქმე შამიელიენ, გეიხედავ შუუჩხიკინებენ ვინცხას, იგი იშლიჭებს, ზე გადაშპება ჟვეროში, წუუსისებენ ვინცხა მეძუბრებს, გამოგჯება ვინცხა განიდგან გვეხას მოადენს, ამას ამაზე იბღვინებს

*) ჩვენ არა გვჯერა ეს ამბავი. წარმოიდგინეთ ამდენი ხანია, ქართველ ეგზარხოსს ვერ ველირსეთ და ნუ თუ ახლა ისე გადაპრუნდება ქვეყანა, რომ უცოდველ რომის პაპათ ჩვენს თანამემამულეს ქართველ მორჩილს აირჩევენ? რაც გინდათ ისა სთქვით და ჩვენ მაინც არა გვჯერა.

ეშმაკი.

ქილყვავსავით ზეკუცია და ხელის გულსავით მოვასუნელებენ. ერთი სიტყვით წყალდალვინოსავით ეისვარა ყოლიფერი, ჯერე სადაა, მოსაწერი ხუთი გორიცაი ამბავი მაქ, მარა ვინცხა იქინეი სვისტოკიანია, შაირი უყვარსო. ჰოდა იქნება რამე ფეხი წაგაკვრიონ ჩემი წერილით მეთქი, თვარა მე რა ხვიტებს მაწყენს. ისთეი რაცხა იგი კალონებია, სიცოცხლეში თუ მომასწრობთ კაია, თვარა მე რომ ჩავძაღლდები, გადმაფრიწეთ სამარეზე, მარა არავინ იფიქროს, როიცხა თავზე ხელს ავიღებ, ვინცხა სხვასაც კი ჩევიხახნებ სამარეში და მერე..

ჯერე აგია ჩემი ამბავი, თუ რამეს იზამთ კაია, თვარა საცხა თქვენ დამეკარგეთ, აგი სამიშაურის მარკაც̈ზედ მიმიკვერებია. ჭკუით ბაბუებო, ჭკუით!

დავშთები თქვენი ამომრჩეველი შავდღიანიძე ბერი ზაღიკაი.

შხანკოლა

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(საქართველოს საავენტო)

სურამი. შევუდექით მოისეევის საავთიაქო საწყობის რევიზიას. ჯერ-ჯერობით აღმოვაჩინეთ 3-4 წლის მატლებიანი მალინა. ამბობენ ამგვარი მალინის წვენი ერთი ორად უხდება ავათმყოფობასო. სურამ. გარინი.

შემოქმედი. გამოცხადდა ორმოცი დღის გლოვა კაკაც-ოღლისა და კ. აროზელიძის გადაყვანის გამო.

ჩოხატოური. დაადგა საშველია,
ალარა გვყავს შელია.

ხიდისთავი. მოიშალა ,,ძმობა—დობის ღვიძლი პარტია''.



ქ. ფოთი

ბ-ნ ვოლდემარს.

ბ-ნო ვოლდემარ! თქვენი წერილი იმდენათ საყურადღებო იყო, რომ გადავსწყვიტე გაზეთის საშვალებით გიპასუხოთ. ეს მით უმეტეს, რომ თქვენდამი მომართული პასუხით, სხვებსაც შეეძლებათ ხელმძღვანელობა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთთა კორესპონდენტების კოქლობა არ ახალია, ძველია. ეს არის მიზეზი, რომ დღეს დაბეჭდილი ხვალ უარსაყოფი ხდება და სინამდვილე, ძლიერ ხშირათ, სრულიად წინააღმდეგს ღაღადებს. მე აქ სახეში არა მყავს ის მატყუარა ორფეხები, რომლებიც თავის კერძო ინტერესების მიხედვით ბოროტათ იყენებენ რედაქციის ნდობას. აშათზე ლაპარაკიც მეტია. არც-ერთ ადგილობრივ გამოცემას არ შეუძლია იმათგან უზრუნველყოფილად დაისახოს თავისი თავი.

ამასთანავე ჩვენ, როგორც თქვენ, არავინ არ მიგვაჩნია შეუცდომლათ. რასაკვირველია მძიმეა შეცდომა, რომლითაც უდანაშაულო პიროვნება ილანძღება, მაგრამ ის მაინც მეტად მისატევებელია, ვიდრე განზრახ შეთხზული, ნებსით ჩადენილი შეცდომა. ჩვენს რედაქციას არასოდეს ეჭვი არ შეუტანია თქვენი წერილების გულწრფელობაში და თუ ზოგჯერ (როგორც მაგალითად დუნდუას შესახებ) სიმართლე დაიჩრდილა, ეს დარწმუნებული ვართ არ ყოფილა განზრახ ჩადენილი დანაშაული. ჩვენ ყოველთვის ვსთხოვდით ჩვენს კორესპონდენტებს და ახლაც ამას ვიმეორებთ: ნამდვილი ამბავი შუა გაჭყოთ და ნახევარი შეგვატყობინოთ ისა სჯობია, ვიდრე ერთი სიტყვა მეტი დასძინოთ.

თქვენ, აგრეთვე, შეუწუხებიხართ იმას, რომ ფოთის ,,ბულვარის მოკრიტიკეთა'' აზრით ჩვენი გაზეთი, ეს ,,პორნოგრაფიული'' გამოცემაა და მასში თანამშრომლობა უკადრისი საქმე. გარწმუნებთ ამ გვარ მსჯელობას იმდენათ უნდა მიექცეს ყურადღება, რამდენადაც ფოთის ჭაობთა ერთ-ერთ ბინადარის ყიყინს. ან კი რა აზრი უნდა ეკითხოს იმ ,,მოკრიტიკეთ'', რომლებიც ბულვარში ეგრე ,,მსჯელობენ'', მაგრამ ჩუმათ, თავისი უშინაარსო ნაწარმოებით'' სარედაქციო გოდრებს ავსებენ. ჩვენმა მკითხველებმა უკეთ იციან რას ემსახურება ჩვენი გაზეთი და გთხოვთ ზოგიერთ უმეცართა ბეუტურს ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ეშმაკი

მესტვირული.

—

ეზეს ვენაცვალე ეშმაკის,
მათხოვე შენი სტვირია,
შორს არ წავიღებ, აი აქ
დიდ ჯიხაიში მჭირია
მიუმღერ ქსენონს, აფთიაქს,
მათ გამგე კომიტეტებსო,
იქნებ გავიგოთ: ანგარიშს
როდისთვის გაიმეტებსო
ვგონებ იმასქნეს ქანქარი
იმ ძველსა საქანქრესაო,
და სანამ ახალს მოკრეფენ
არ გაანძრევენ ხელსაო.
ფასი უმატეს წამლებსა,
საწყალ ხალხს ტყავი სძვრესაო,
მოგება მაინც არა სჩანს
ნეტავ რასა გავს ესაო?!!
არ აწყენს მიღილინება
დათიკოს, ნაცნობს ძველსაო,
მან გამგეობა იკისრა
ქანქარში ურევს ხელსაო,
იჯარით იღებს ამ ჟამად
წამლების საწყობელსაო
თვალნი განაბა მწყერივით
გვაგონებს მლოცველ ღვდელსაო,
ჩვენს აფთიაქში კაკანებს
თვისაში იდებს კვერცხსაო.
ჯერ არ დაუშვებ ქამანჩას,
კიდევ დაუკრავ ერთსაო
სამკითხველოში შევიარ
არშიყებს ვნახავ ბევრსაო,
ვით ხუნტრუცობენ ქალ-ვაჟნი,
აცმაცურებენ ყბებსაო,
თორემ ვინ დაეძალება
აქ ჟურნალ-გაზეთებსაო.
წიგნიც არ არის სავარგი
ვფიცავ გამგისა წვერსაო,
ალარც იძენენ ახლებსა,
(ნეტა რა უშლის ხელსაო)
მაგრამ ე ჩვენი მართველი
წიგნზე არ ფიქრობს ბევრსაო
ასეთი ქირისუფალი
ღმერთმა ნუ მისცეს მტერსაო.
არ დავივიწყებ „ტარშინას"
არცა მის მწერალ-ძველსაო
ძველ ნაცოდველი ქანქარნი
დღეს რო უტეხენ ხველასო,
რომ მოწელება ვერ შესძლეს
ექიმებს სთხოვენ შველასო.
ილოცე მათთვის, ეშმაკო,
და ნუ შეამთხვევ ბელასო,
მათრახის კუდიც საჩუქრად
გამოუგზავნე ყველასო.

კიკოლა ბიჭი.

დ ე პ ე შ ე ბ ი
(რუსეთის სააგენტო)

გელსინგფორსი ფინლიანდიაში რამოდენიმე კორპუსი რუსის ჯარი გაიგზავნა; ამბობენ მხედრობა ჩრდილო პოლიუსის აღმოსაჩენათ მიდისო.

ოდე ა. ამბობენ ექს-შახი სრულიად გაევროპიელდა: საჭმელს დანა-ჩანგლით ჭამს და სკამზედაც ჯდებაო.

იქიდანვე. თუ ადესის ებრაელთა „მამა" გენერალი ტოლმაჩევი სამსახურიდან გადააყენეს, მის ადგილს უთუოდ ლანჩხუთის გმირს, იაშა მიქიაშვილს მისცემენო მიქიაშვილი აგერ რამდენი ხანია ზის ადგილობრივ ციხეში და არ გამოდის, რადგან აღნიშნულ ადგილს ელოდებაო

პეტერბურგი. ამერიკელი მოგზაურნი: კუკი და პირრი პეტერბურგს მოდიან. როგორც მოგეხსენებათ ამათ აღმოაჩინეს ჩრდილოეთის პოლიუსი, მაგრამ სადაო საკითხია, რომელმა მათგანმა მიაღწია ნამდვილ პოლიუსს. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს, რომელსაც პირრიმ უძღვნა პოლიუსი, დავის გადასაწყვეტათ ასეთი წინადადება მიუცია: „წადით რუსეთში, (პეტერბურგს) და რომელი თქვენგანიც აღმოაჩენს იქ კონსტიტუციას ან გამოიკვლევს: არის, თუ არ არის იქ კონსტიტუცია პოლიუსიც მისი აღმოჩენილი იქნებაო''. ამიტომ დუმის დეპუტატები დიდის მოუთმენლობით მოელიან გამოჩენილ მკვლევარებს: ,,იქნებ ახლა მაინც გავიგოთ: მართლა არსებობს ჩვენში კონსტიტუცია თუ არაო''.

ნასწავლი კატა.

(მიბაძვა)

И днемъ и ночью котъ ученный
Все ходитъ по цѣпи кругомъ.
Пушкинъ.

შავი ზღვის პირათ,
(გლეხკაცთა ჭირათ)
მუხა სდგას ხმელი, უზარმაზარი,
და მის ზერ ტოტებს,
(დღეს შესაცოდებს)
ჰკიდია წვრილი ოქროს ბაწარი.
ბაწრისა წვერი,
(არ მონაჭერი)
ყელზე აბია კატას მეცნიერს
და მუდამ ხანა,
(აგი მჩხავანა)
გარს უტრიალებს მუხასა ხნი ̣რს:
როს მარჯვნით წავა
სიმღერებს ჭყავა,
მარცხნივ კი ზღაპრებს ჩაარაკრაკებს,
თავზე ეხტება
(რა ენაღვლება?!)
წვრილ ბუჩქნარებსა და დაბალ ჯაგებს.
იმათ არ სწყალობს,
(ძლიერთ უგალობს)
ნასწავლი კატა, ქვეყნის მშვენება!
არ შეუშალოთ
ხელი უბრალოთ
მუხისა ჩრდილში სურს განსვენება.

—კი.

მოხერხებული მოძღვარი.

თედორობა დღე იყო. მაზიარებელი ხალხით ეკლესია მთლათ გაჭედილი იყო. მღვდელმა გამოიტანა ბარძიმი და დაიწყო ხალხის ზიარება. რიგ რიგობით მიდიოდენ ქალები და კაცები. აგერ მოვიდა მღვდელთან ერთი გლეხი. მღვდელმა დაინახა თუ არა ეშმაკურათ ჩაიცინა ულვაშებში. გლეხი მიუახლოვდა და პირი დააღო. მღვდელმა კოვზს ხელი მოკიდა თითქო უნდა აზიაროსო. გლეხმა კიდევ დააღო პირი და სასოებით მიაპყრო თვალები მღვდელს. მღვდელმა კოვზი ისევ ბარძიმში ჩასდო და პირდაღებულ გლეხს ერთი მტკაველი ენა წამოუგდო.

განცვიფრებულ გლეხს პირი ღია დარჩა და გაქვავდა.

— რას მიყურებ ყაძახო? დრამის ფულს გადახდა არ უ̈ნდა? მომცემ დრამის ფულს—მოგცემ ზიარებას, არა და იყავი პირდაღებული მიაძახა მღვდელმა და საკურთხეველში შებრუნდა.

პედაგოგიური.

(შორს ჩვენგან ტყავები!)

ბავშვე?ო! შვილებო!

მეცნიერება, რომლის მისაღებათაც თქვენ აქ მოგიყვანეს, აქლემის ნაბიჯით მიდის წინ, განვითარებისაკენ! ზოოლოგია, ანატომია, მინეროლოგია და სხვა დერგები ერთი მეორეს უსწრებენ წინ. აგრეთვე ვითარდება ქირურგია ანუ ოპერაცია!

ჯერ კიდევ ნეტარ ხსენებულმა ლუარსაბ თათქარიძემ, (როცა თავის კნეინას მიჰყვებოდა თელეთში სალოცავად) იცოდა, რომ ადამიანს თავებს სჭრიდენ და ახლებს უკეთებდენ, რომ ეს კი არა ისეთი მაშინაც მოეგონათ, რომელიც თავის თავად ხერხავდა ფიცრებს. მას შემდეგ, შვილებო, საქმე ერთობ წინ წავიდა. ცნობილმა მეცნიერმა მენშიკოვმა*) დაამტკიცა, რომ ადამიანისათვის მეტია როგორც შიგნეულობა ყოველგვარი, აგრეთვე გარეული ორგანოებიც.

*) იგულისხმება მეჩნიკოვი.

საყვარელო შვილებო! მეც, უბრალო მომაკვდავმა, თქვენმა აღმზრდელმა, ჩემი წვლილი შევიტანე მეცნიერების დერგში *) და დავამტკიცე რომ საჭირო არ არის ადამიანისათვის ყურის ბაბილოები **). უმეცრებმა და უგნურებმა ამისათვის სასაცილოდ ამიგდეს, გამლანძღეს! მაგრამ მე ღრმათა მწამს, რომ ეს ჩვეულებრივი ხვედრია ყველა მეცნიერისა.

მართლაც და განსაჯეთ თქვენ თითონ: რის მაქნისია ყურის ბაბილო კაცისათვის. ბაბილო ქათმის საქმეა და ჩვენ ქათმებისაგან დიახაც გავირჩევით. ყურის ბაბილო სიცივეში უფრო ადრე იყინება და მით პატრონს უსიამოვნებას აყენებს. ყურის ბაბილო ხელს გვიშლის სწავლის დროსაც რადგან წინა სკამზე მჯდომარისა, ეფარება უკანას, იჭერს ჩემს სიტყვებსა და ნთქავს. ყურის ბაბილო ხელს გვიშლის აგრეთვე ძილის დროსაც, რადგან თავს ქვეშ იჭყლიტება და გვტკენს.

მაშ შორს ჩვენგან ეს უმნიშვნელო და უსარგებლო ნაწილი ჩვენის თავისა, ძირს ყურის ბიბილოები!

მეტსაც ვიტყვი, საყვარელო შვილებო! მას შემდეგ, რაც თქვენ ყურის ბაბილოთა თრევისაგან გადაგარჩინეთ, რაც მოვსპე ეს უშნოთ გამოშვერილი ნაწილი თქვენის თავისა, განვიზრახე განმეგრძო ჩემი მეცნიერული გამოკვლევა და მამაშვილური მზრუნველობა. ბევრი, დიახ, ბევრი ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ადამიანისათვის არც ტყავია საჭირო და მეტადრე ზურგის ტყავი. ტყავს თუ კი ვიშოვნით ის არა სჯობია ქალამნებათ შევკეროთ და ფეხ შიშველებმა არ ვიარ.თ?! ჰაი ჰაი, რომ სჯობია! გარდა ამისა ჩვენ ვიცით რომ ტყავის ნახვრეტებიდან ამოდის ოფლი. აქედან ცხადია, თუ ტყავი არ გვექნება ოფლის დენისგანაც უზრუნველ ყოფილი ვიქნებით, ხოლო ზაფხულობით რომ ოფლი ძლიერ გვაწუხებს აბა ეს ვისთვის არის საიდუმლო?

საყვარელო შვილებო, გურული ხალხი ყოველგან და ყოველთვის წინ უძღოდა ქართველ ერს. მართალია მე ჭეშმარიტი გურული არა ვარ, მაგრამ ბედმა აქ განავითარა ჩემი ნიჭი და შემოქმედობა. მაშ ვეცადოთ, რომ ამ მხრივაც წინ გავუსწროთ საქართველოს სხვა კუთხეებს და დავუმტკიცოთ მათ რომ ზურგის ტყავი სრულიად საჭირო არ არის მუშაკაცისათვის. ძირს ტყავები!

მოვა დრო, შვილებო, და მეცნიერება ისე აყვავდება, რომ ადამიანისთვის საჭირო აღარ იქნება არა თუ ყურის ბიბილო, ტყავი და ფეხები, საჭირო აღარ იქნება არც თავი, რადგან თავის მოვალეობას რომელიმე მანქანა შეასრულებს.

ლექტორი.

შ ა რ ა დ ა.

ქორონიკონით დაწყება
შეგვხვდა, შეგვემთხვა ბედია,
მაშ დამიხატეთ, რომელიც
სამასის მეასედია.
მას კი მოაბით სიგრძისად
მდინარე გარე კახისა!..
(ბოლო ასოს წინ, ნაპოვნი
ქორონიკონი რათ ღირსა!!!!)
უთუოდ ჩასვით, რადგანაც
უმისოდ საქმე წახდების;
რომ შეინახეთ, ვითომა
სხვად რისთვის გამოგადგების?
არ თუ იქ, ქორონიკონი
ორ გზობის დანაწერები,
რადგანაც საქმე თხოულობს
კვლავ არის მისაკერები.
ამისა შემდგომ მონახეთ
მცენარე დამამშვენები,
წარღვნისა შემდგომ ნოესგან
არარატს განაშენები;
რაღა თქმა უნდა ამ სახელს
ადვილათ ნახვენ ჩვენები,
თუმცაღა ბოლო ანბანი
არ არის დასაყენები.
ის უნდა მოწყდეს, მაგრამა
სხვა არის მისაშენები,
რომლის სიავით მცენარე
ამ ჟამად მონახსენები,
შორეულ ჩრდილოეთშიგან
ძნელია მოსაშენები.
პირველი ასო ამისიც
არ არის მოსაჩვენები
(მართალი გითხრათ ამ ანბანს
არც კი ხმარობენ ჩვენები.)
სახელ წოდება გამოვა
რა ყველა ჰპოვოთ სრულათა,
ქართული ,,მუზის'' სასტუმრო
(სტუმრის მიმღები მტრულათა!)
დიდი ხანია ,,იღწოდა''
ამ დარგში გაბედულათა
თურმე ნუ იტყვით ,,სასტუმროს''
ჯერ ვერ ვიცნობდით სრულათა
არ გვეგულოდა გლეხკაცი

**) ეს სიტყვა ნახმარია დარგის ნაცვლად.
***) აქაც იგულისხმება ბიბილო.

ზუბრებზე მიჯაჭვულათა,
სამი ივნისის კანონის
მოძღვრათ და მოციქულათა.
დღეს გამოირკვა ყოველი
ნათლათ და დიდებულათა
ვცანით, ანდაზა ,,კოკისა''
თქმული ყოფილა ბრძნულათა
,,ჟურჟელსა ყოველს დასდინდეს
სითხე რაც უდგას გულათა.''
არ გავაგრძელებ რამეთუ,
დრო მიჩანს დაკარგულათა,
ვინაც აქამდე ვერ მიხვდა
თავი აბია ტყულათა.

კოლო.

სიტყვა

თქმული ლევერკელიანი მისიონირის მელქისადექ ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში აღაპზე.

დირსნო მამანო და ქრისტეს მაერ ,მანო და ანა ჩემნო!

არა დასცხრეს ბაგენი ჩემნი სიმართლისათვის და ენამან ჩემმან აღვიაროს ჭეშმარიტება, როგორც მუშაკი ღირს არს სასყიდლისა ისე, კაცი ღირსეული ღირს არს ცემისა—იმ დასაქცევმა და დაკრულულმა დრომ ახალთაობისამ ოდეს, გვირგვინოსნების და მირონ ცხებულების მაგიერ ყაზილარებმა რომ დაიწყეს მეფობა აბა რაფერი იქნებოდა მათი მეფობა, ტახტის მაგიერ ჯიკვზე შედგებოდენ, დიდებულ ქალაქთა ნაცვლად გვიმბრაში და ჟვერში ძერებოდენ, თოფის მაგიერ ხელთოფელი რომ ქონდენ, გურიელის მაგიერ ჩხიკვიშვილი რომ ყავდენ. ყოველივე ეს უღმერთო იყო და უღმერთოთ ჩაიარა, ხოლო მის მობრუნებამდი არაფერი გეტკინა. ხო და იმ ყაზილარობის დროს საძაგელი საქმე ქნა, ყველას დაავიწყა ქრისტე და წმინდა სახარება მისი, გაჩნდენ ცრუ წინასწარმეტყველნი და წარყვნეს და წაბილწეს საქრისტიანო. ნამდვილი ქრისტიანი ჭეშმარიტი ღვთის მსახური აღმსარებელი რჯულისა ეხლა ჩვენში ისე საძებარია, როგორც პირველ ქრისტიანობის დროს. ჭეშმარიტათ გეტყვით თქვენ დღეს გული ჩემი აღსავსე არს მხიარულებითა რადგან დღეს ვპოვე მე ნამდვილი ჭეშმარიტი ძველი ქრისტიანი, რომელიც არა მარტო სიტყვით აღიარებს ქრისტეს არამედ საქმითაც ამტკიცებს მას.

ძვირფას მასპინძელზე მოგახსენებთ, კარგათ ეს შის პავლე მოციქულის სიტყვები, რომელი ამბობს სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არსო. თქვენ ყველანი კარგათ ხედავთ თუ რა დიდებით და პატიოსნებით დაასაფლავა მან თავისი მიცვალებული,—მოიწვია პატიოსანნი მღვდელნი მწირველნი, მგალობელნი დიაკვნები, მოლოზვნები სტაროსტა და ყველა კრებულნი ქრისტიანენი მისცა მღვდლებს საწირავი მგალობლებს საჩუქარი, რომელიც მე ჩემი წილი როგორც ლოტბარმა მგალობლებს ვაჩუქე, აჩუქა დიაკვნებს და სტაროსტებს გაიკითხა მოლოზნები და ქვრივ-ობლები და კიდევ რაც ეხლა არსათ გურიაში არ იციან მიცვალებულს აუხსნა სული დაკლა თუთრუშასავით ცხვარი გამოაცხო ხაჭაპურები გატენილი ყველით, მოგვართვა საკმაოთ სვირის ღვინო და მოგვცა შეძლება ზედაშე გადაგვეშვა პურზე და მიცვალებულიზა შენდობა შეგვეთვალა. ამისათვის მამანო მე ვსვამ მასპინძლის სადღერძელოს ძმაო ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს ყველას გვენახვოს შენი თეთრი წვერი, მიცვალებული გიცხონოს, მისი დანაკლისი დღეი შეგმატოს შენ და მშვიდობა მოგცეს. შენისთანა ქრისტიანი ღმერთმა ბევრი მოგვცეს სხვების სამაგალითოთ. ალავერდი ვარ თქვენთან მამაო დეკანოზო დავით ასეთ პატიოსან მიცვალებულს გლოვა არ შეშვენის მისი მისვლით ეხლა ზეცაში ანგელოზნიც განიხარებენ და ჩვენც ნუ გადავალთ ღვთის ნებას და ვთქვათ მრავალ-ჟამიერ.

პაპასკუა

ნიკოზურგი.

(ძველათ ფოთი)

„Стоячее болото всколыхнулось. უნებლიეთ მაგონდება სტანიუკოვიჩის რომან „Безъ исхода“-დან ერთი ადგილი, სახელდობრ, ის თუ როგორ შეხვდენ «Грязнополье»-ს მცხოვრებნი «პასკილიანტ» კრუტოვსკოის პამფლეტებს.

და ეს მაშინ, როცა ვაკვირდები სხვა და სხვა მითქმა-მოთქმას და კამათის კორიანტელს, რომელიც ვოლდემარის შენიშვნებს გამოუწვევია ფოთში.

„Защитите ваше с-во! Прежде бывало, въ Грязнополѣ жили мы мирно, а теперь писаки развелись“.

— Время нынче прогрессивное, всякій хочетъ высказаться.

— Помилуйте, ваше с-во, отчего не высказаться, развѣ я противъ этого!

Но если ругаются, клевещутъ!

То обидно, когда на людей, посвятившихъ труды свои на пользу меньшихъ братіи, взводятъ клеветы...“ და სხვა.

დიახ „ბევრები“ აუღელვებია ვოლდემარის შენიშვნებს. ზოგი გაიძახის: «ეს შინაურ, ოჯახურ კითხვაში ჩარევაა». ზოგი კი—ეს «დაწვრილმანებია (თითქო მას ან წვრილმანი, ან მსხვილმანი აინტერესებდეს). ზოგი კი—ეგ «ლაჟვში ამოსრაა საზოგადო მოღვაწეობა» და სხვა.

ამ შენიშვნებს ირგვლივ დღესაც ტრიალებს კამათი. უმრავლესობა ის (მამთქმელ-მამაქ�sელია) გულებში კი ამოიკითხავ: «როგორ გაბედეს ასეთ პირებს შეეხენ, ვინც ყაზილარებია»ო.

რამ ააღელვა ეს ,,ზოგიერთები''? აშკარაა წარჩინებულ პირთა ,,შეხებამ'', აშკარაა იმ, ასე ვსთქვათ, ,,გრიაზნოპოლურ'' შეხედულებამ, რომლითაც ისინი გაჟღენთილი არიან და რომლის შეოხებით თავისუფლათ ცურაობენ ამ დამყაყებულ ,,ჭაობში''.

მე სრულიადაც არ მაკვირს ეს, მაგრამ სამწუხაროა ისაა, რომ ზოგიერთებიც ,,ზოგიერთებიდან'' დაავადმყოფებულან ამ უცხო შეხედულებით. ნუ თუ მათ არიციან, რომ შეიძლება და დიახაც შეიძლება სხვა და სხვა პირთა ცოდვების მხილება და რომ ეს მხილება სასიამოვნოთ არავის დარჩება?

ამ ზოგიერთების ლოდიკას რომ გავყვეთ (როგორ გაბედეს, გაჯავრდებიანო) მაშინ, არავისზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლება და ეს კი ძალიან ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვინც ტრადიციულად ჩვეულა ბაშავებს რამეს, თუ გაიკეთებს, მაინც ,,აღმერთონ''. მე მგონია საპირველ ასეთ დამყაყებულ შეხედულებაზე მაღლა დგომა.

დიახ, ჩვენ გავკადნიერდით და შეძლების დაგვარად ვამხილეთ ,,ზოგიერთების'' ცოდვები, და მიუხედავათ მათი განაწყენებისა კვლადაც ვამხელთ. ,,შეურაცხყოფილ, კერპთა ფეხთა მტვერნი რა თქმა უნდა კორინტელს ააყენებენ, მაგრამ ჩვენთვის სწორედ ეს არის სასურველი. ეს მაღი და ლაქიათა მათთა ქაქანი მოწმობს დამყაყებული ჭაობის მდგმურთა გამოღვიძებას. ჩვენ ეს გვინდა.

ზოგიერთები (ибо они сами не безъ пушка на рыльцѣ) რომ თავი დაიჩნიონ შემდეგისათვის მათი ცოდვების გამომხეურებელს, თხზავენ ათასნაირ ჭორებს იგონებენ თითქო ვოლდემარის „ნეგატივები'' და სხვა შენიშვნები მთელი მიმართულების (იგულისხმება ერთი მიმართულება) აზრი იყოს, თითქო კერძო პირს არ შეეძლოს ხმის ამაღლება და პამფლეტების სახით ,,ტუზების'' საგმირო საქმეთა მხილება. ამაზე მათ უნდა მოვახსენო, რომ არც ერთ შემთხვევაში მე არავინ სუფლიორად არ მყოლია, არამედ პირად ჩემს შთაბეჭდილებას (როგორც მეთვალყურე) ვამცნობდი საზოგადოებას. საპიროთ მიმაჩნია—განვმარტო (რადგან ბევრნი დაწერილს ,,უკუღმა კითხულობენ''—შემდეგი:

1) ყველა ჩემ შენიშვნებში ამა თუ იმ პირს ვეხებოდი იმდენათ, რამდენათაც იმას კავშირი აქვს ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებასთან, სადაც ის პირადი მეგობრობა-ნაცნობობით, პირადი სიმპატიანტიპატიით და არა საქმის ინტერესით ხელმძღვანელობდა;

2). სწორეთ ამ აზრითაა შენიშვნები ქონ «მან»-ზე, ,,იაგუშაზე'' და სხვებზე და არა ,,ჭუტუი'' მნიშვნელობით, როგორც ამას ზოგიერთები ხსნიან.

3). დ. ჯ—იას წინააღმდეგ (მათრახის ერთ-ერთ ნომერში—ხელმოუწერელი) შენიშვნა, მე არ მეკუთვნის (რაც კი რედაქციაა დაამოწმებს), პირიქით ჩემ შენიშვნაში მე წინააღმდეგი დავწერე, *)

4). დ. ჯ—იას სრულიადაც არ ვაღმერთებ მე, არამედ ვეხები შენიშვნებში, იმდენათ, რაიდენათ ის ხეირიანი პედაგოგი იყო, რამდენათ ის ბრმად არ ემორჩილებოდა ,,ბრძანებლებს'';

5). არც ერთი ,,მიმართულების'' კოლექტიური აზრი არაა ჩემი შენიშვნები, არამედ პირადი ჩემი შთაბეჭდილებები;

6) მე, როგორც მეთვალყურე ,,პამფლეტებში'' ბევრგან ემპირიულ საბუთებით იხელმძღვანელობდი, ბევრგან კი იმ ,,ხელჩაუჭიდელ'' ფაქტებით, რომლებიც სინამდვილეში არსებობენ.

7) მე, როგორც მეთვალყურე გარეშე ვდგევარ ყოველგვარ ,,პარტიობის'' იგულისხმება—რა პოლიტიკური პარტია, არამედ აქაურ (,,იუპიტერების'' ირგვლივ დარაზმული ,,პარტიობა'') და ამიტომ სრულიად დამოუკიდებლათ ვმსჯელობ.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემ გამოთქმებს ,,ქუჩური'' მნიშვნელობით ხსნიან ამაზე უნდა მოვახსენო ,,ბულვარის კომენტატორებს'' რომ მათი საქმეა ასე მოქცევა, ვინაიდგან ქართული ანდაზისა თანახმად ,,კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოსდინდება.'' ,,ეტორი ყოველ შემთხვევაში არაა იმაში დამნაშავე, რომ ივანეს ან ვახუშტის ,,ყველაფერი თავისებურათ ესმის და ხსნის''.

დასასრულ ბულვარის კრიტიკოსთა ნატაციები ,,ლიტერატურულ ეთიკაზე'', შეიძლება ქარს გავატანოთ, ამით არც ეთიკას და არც მკითხველს არაფერი დააკლდება. ჩვენ ნაკლებ ვუწევთ ანგარიშს იმას, თუ რას იტყვის Марія Петровна, როცა საბუთები გვეკნება ამა თუ იმ ,,საზომადო მოღვაწის'' წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთ. ის გარემოება რომ ვოლდემარის შენიშვნებზე ღღემდისაც კამათობენ, რომ ისეთებიც კი კითხულობდენ, რომლებსაც თავის დღეში არ აუღია გაზეთი ხელში, მათ და უნებლიეთ აშკარად მოწმობს იმას, რომ ,,стоячее болото исколыхнулось''. შემდეგისთვისაც მზადა ვარ ნიკობურგელთა სამსახურისთვის!

ვოლდემარ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ საზოგადოებრივ საქმეთა მოწმობა, მე რადა მეცა-ბ-ნო ,,ეროვნულ საქმეთ-ბ-ნ ,,ეროვნულ საქმეთ-ბ-ნ ,,ეროვნულ საქმეთ-ბ-ნ

უეშტი ბურჯუაძეს.

მოქმედება მესამე.

(დასასრული, იხ. „მათრ. და სალამ." №№ 6, 7, 8, 9. 10)

გამოსვლა VI.

(მიხეილი და პავლე)

პავლ. არა! მამა ნუ წამიწყდება ამ უჩიტელმა მომამჟულა, კაცო, თავი? სულ აქანეა, დოულია პირი და მიჩერებია ჩიტოს... კვდება, ჯავრით კვდება... მას ეგონა მივათხოვებდი...

მიხ. ხა... ხა... ხა... სასაცინოა ღმერთმანი! ისიც რო კაცობას იჩემებს!. ხა... ხა... ხა...

პავლ. კაცობას და მერე რავალს? ერთობის დროს თელი სოფლების გუბენატორი ეგონა თავი .. ყველა რო უჯერებდა!.. სისულელე რო ეთქვა, მისი ნათქვამი მაინც კარგად მიაჩდათ...

მიხ ეხ, ვინ მისცა სოფელს ჭკუა, მაგისთანებს რო ჩოუვარდა საქმე ხელში, იმიზა გაკეთდა რამე...

პავლ. არა, იცი? ახლაც რო ყველა უჯერებს... ეს რაცხა ბიბლიოთეკააო, კლასის გადიდება, საერთო დუქანი... ყველა მან მოაფოჩიხა...

მიხ. ეხ, კაი თუ კაცი ხარ! თითის სიგრძე კაცის კაცობა ვინ თქვა... კაცი კი არა მაგი კრუხის მისაბამი პალოა...

პავლ. ხა... ხა... ხა... მამა ნუ წამიწყდება, სიმართლეა! ნამდვილი კრუხის პალოა...

მიხ. ან კიდევ ეს რაფერ შეიძლება კაცი ენდოს იმ კაცს, ვისაც ჯიბეში ხინკი არ მეეძეება... სოფელი სულელია, თვარა, მაგას რამე საქმე უნდა ანდოს? თუ რამეს აკეთებს, ყველას თავის სასარგებლოთ... (ამ დროს ჩიტულიას და ეფემიას ხმა ისმის. გულმოსუ ობა ეტ.ობათ. ცოტა ხნის შემდეგ მიშტიბუქა შემოიხედავს სცენაზე და იტყვის: „ბატონო, ქალბატონი გხმობილობს". პავლე გადის. ცოტა ხანში დაინტერესებული მიხეილიც გაჰყვება).

გამოსვლა VII.

(მასწავლებელი, ჩიტირეკია და შემდეგ ჩიტულია. თითქმის მთელი სცენა მუნჯურათ ზაიდლის. მასწავლებელს ხან წყრომა ეხატება სახეზე და ხან მუდარა ჩიტოსადმი. ჩიტირეკია ხტის და სიცილს ძლივს იმაგრებს. ჩიტოს ხშირათ ეღიმება, შემდეგ სხჩქართ გადის).

ჩიტირ. ოხ, შენი მირონის ჭირიმე ათანასო, შენი.. მიყვარხარ ბიჭი რო ხარ იმიზა!.. ფოლადიანი ბიჭი ხარ, ზაფთი გაქ, ზაფთი!.. რა გემოზე მოაწყვე საქმე! მთელმა ქვეყანამ იცის..

მასწ. მარჯვეთ ჩემო ჩიტირეკო, მარჯვეთ... თავი და ბოლო ახლაა...

ჩიტირ. დარდი ნუ გაქ!.. ჩემი მიშტიბუქა მოკვდ ს, თუ სიკვდილი არ ვინატრო.—ისე გოუხდი საქმეს, რო ქვეყანაში თავის გამოღება არ შეეძლოს...

მასწ. აბა შენ იცი...

გამოსვლა VIII.

(მიხეილი მარტო)

მიხ. (შემოსტება) მაშ დგება, დგება უკანასკნელი წამი... კიდევ ცოტა ხანი და მეც მისს გულმკერდში მექნება ხელები... ძუძუებში.. უხ, რა ბედნიერებაა (ხელებს იხეხს, კრთის) გავწორდებ, გავლამაზდები... (სარკეში იცქირება, ტანისამოსს ისწორებს, ლვაშებს იპრეხს) უხ, გადვირიე: მეტი არა ვარ კაცი... შევიშალე... რა კარგი ყოფილა სიყვარული!.. (იგრიხება სარკესთან, თან კარებისკენ უჭირავს თვალი). ახლავე შემოვა, ჯერ თავს მოვაწონებ, შორიდან მოვიყვან ეშხზე და მერე მიხეილმა იცის... არა, ღმერთ წინაშე—ლამაზიც რო კაი ვარ! იმიზაა რო ოუბნიე თვალები და ყოველ დღე წერილებს მწერს... იფ! სწორეთ რო კოხტა ბიჭი ვარ... ჩერქესკაზე უფრო სწორეთ რო ეს რუსული ტანისამოსი მშვენის... კიდეც იმიზაა რო მამწერა ჩემმა გვრიტმა: ახლა რუსულით გამოწყობილი მე ჩვენეო... იცის გემო! ვის არ აუთამაშებდი ასეთი შთრინგი ბიჭი გულს?. ჩუ... ფეხის ხმაია... მოდის, მოდის! (ყუ ს უგდებს), არა, მოვკვდი კაცი (დადის) უცეფ რამე უზრდელობა არ ჩევიდინო, ჩემებურმა არ წამომკრას. . თავმოკავებულათ უნდა ვიყო (ახვედებს) მოდის, მოდის . (ჩიტულია მართლაც შემოდის და კარებში ჩერდება)

გამოსვლა IX

(ჩიტულია და მიხეილი)

მიხ. (მუდარით) ჩემო ღმერთო... ჩემო...

ჩიტ. (შუა სცენაზე გამოდის. მშობლები კარებიდან იჭვრიტებიან) რა გნებავთ?

მიხ. (მიიწევს) ჩემო ჩიტო... მიყვარხარ...

ჩიტ. მე კი მეზიზღებით! (მშობლებმა სიბრაზით რა ქნან არ იციან).

მიხ. ჩემო სულიკო, შემიბრალეთ, ნუ მტანჯავთ...

ჩიტ. ვინ არის თქვენი სულიკო?! თქვე სულ მდაბალო თქვენა! ვის უბედავთ თქვენ ამას? ვინ თქვენ და ვინ პატიოსანი გრძნობა?! ვინ თქვენ და ვინ სიყვარული!?.

მიხ. კარგი გენაცვალე, მაკმარე... (მიიწევს).

ჩიტ. შორს ჩემგან! შორს ჩემგან მტაცებელო ცხოველო! (მშობლები ბრაზით სკდებიან).

მიხ (შეჩერდება და გასწორ დება. ჩუმათ) ეს რა ამბავია ჩემს თავზე? (ხმა მაღლა) ჩიტო ჩემო, სულ მასხრობა ხომ არ შეიძლება! თუ გიყვარვართ, ბარემ საქმეც გავათაოთ...

ჩიტ. გაიგონეთ, რომ არა თუ მიყვარხართ, მეზიზღებით კიდეც! თქვენისთანები ჩემგან სიყვარულს ვერ ელირსებიან! თქვენ თქვენისთანებში ეძიეთ გულის სწორი, აქ ადგილი არა გაქვთ!

მიხ. (ზარდაცემული) მაშ წერილებს რათ მწერ დით?

ჩიტ. რისი წერილები? ხომ არ შეშლილხართ?!

მიხ. აი თქვე... თქვენი წერილები (იდებს უბიდან).

ჩიტ. გესმისთ?! მე თქვენთვის არასოდეს ერთი სტრიქონიც არ მომიწერია და არც ისე დავიმცირებ თავს, რომ თქვენისთანებს წერილი მივსწერო და დაუმეგობრდე!.. არასოდეს!..

მიხ. აბა ეს ვისი... ვისი ნაწერია?

ჩიტ. ეშმაკმა არ იცის თქვენი თავი! რა ვიცი მე ვისი ნაწერია... ყველაფერი ეს პირველი და უკანასკნელი იყოს ვაჟბატონო! გესმისთ? (გადის).

მიხ. (თავისთვის) მგონი შევრცხვი, დავიღუპე ..

გამოსვლა X

(შავლე, ეფემია და მიხეიდი)

პავლე. (შემოვარდება ტოლთან ერთად) მაჩვენე შვილო წერილი, მაჩვენე!.. აბა ვისი ნაწერია?..

ეფემ. გვიჩვენე, გვიჩვენე... (გაშტერებული მიხეიდი აძლევს).

პავლე. მამანუწამიწყდება ყველა ჩიტოს ნაწერია... ყველა... აბა ვისი ნაწერი იქნება? ან?

მიხ. არის? (შავლეს)

ეფემ. არ არის, არა! დავიღუპეთ .. დავიფსეთ...

მიხ. (ეფემიას) არ არის? ან?

პავლ. მისი ნაწერია, მისი მამანუწამიწყდება!.. მისია!..

ეფემ. არაა. არა! . ვინ შეგვარცხვინა, ვინ მოგვკრა თავი? ვინ?..

მიხ. (ნაწეგეტ-ნაწეგეტათ) ან? მოვტყუვდი? მოგეკრა თავი? შეერცხვი? გავტიალდი კაცი?.. ა?

პავლ. (ჩაკვირვების შემდეგ) ვაი, მგონი მართლაც არაა მისი ნაწერი! დამესხა ყურებზე წყალი? ჩამივარდა კოკბი ნაცარში? ა? ვინ გამომწყვიტა სოფელ ქვეყანაში? ვინ?.. ან?..

ეფემ. რა მემესრო? რა მემესრო? სად გამოვჩოე? ვის ვეჩვენო?

პავლ. გამომეჩრა ყელი ვიღაცამ, მარა რავა გამომეჩრა? დამკლა, მარა რაფერ დამკლა! ამ ურჯულომ, ამ შეჩვენებულმა!..

მიხ. რაა ეს ჩემს თავზე? რაც არ დამმართია ის მიქნეს? სად გავიარო? ვის შევხედო?..

ეფემ. კაცო, ეგება პოჩერკა გამეიცვალა, დააკვირდი კარგად...

პავლ. შეიძლება... შეიძლება...

მიხ. ვინ იცის!.. ვინ იცის, ეგება მართლაც ასეა... ვინ იცის, ვინ იცის... დაუკვირდეთ. (ეფემიანა ამეკიდა ათვალიერებენ).

გამოსვლა XI

(იგინიგე. მასწავლებელი, ჩიტო, ჩიტირეკია და შაშტიბუქა)

პავლ. (ხელწინა) შვილო, გაგვაგებინე რაშია საქმე! ნუ დაგვერი თავები!.. ნუ შეგვარცხვინე...

ეფემ. შვილო, ჩემო ჩიტო, ნუ მიყობი ეშმაკებს... ნუ კრავ კარზე მომდგარ ბედს ხელს!.. გვითხარი, შენი დაწერილია ის წერილები, თუ არა? შენი ჭირიმე...

მასწავ. ის წერილები ყველა ჩემი ნაწერია, მე ვატყუებდი მიხეილ ბელტაძეს, მინდოდა შემერცხვინა, საქეყნოთ თავი მომეკრა ამ ფულით გაჭკვიანებულ ვაჟბატონისათვის! მინდოდა ყველასათვის აშკარათ მეყო მისი სულიერი სიმდაბლე და გარყვნილება და კიდეც მივაღწიე მიზანს. . ჩიტულიას ამაში ბრალი არ უძევს...

მიხ გასქდი მიწაო! ჩამყლაპე მიწაო! გამაქვრე, მომსპე!.. სად გამოვშთე? ტანისამოსი მაინც არ მეცვალა. . ქვეყანამ იცის!.. ქვეყანამ!.. (სასწრაფოთიდი დგას).

პავლ. ვაი დედაჩემს! რას მოვესწარი ამას!.. ესღა მაკლდა.. საქვეყნოთ შერცხვენა, არა?

ეფემ. მომკალით, მომკალით ვიცხამ!. ქრისთიანო...

მასწ. იცოდეთ ყველამ, რომ დღეიდან ჩიტო ჩემია .. (ერთმანეთს ჩაკიდებენ ხელებს).

პავლ. ან? შვილო გაგიწყრა ღმერთი? ა? ჯერ მაცალე და.. ჯერ მაცალე და... შენ თუ ტყლიპზე არ გაგასიე ცემით მე კეტარი ვიქნები მაშინ!.. შენი წიხლი მაშინ ჩემს ვვერდებში!..

მიხ. მე აწი ქვეყანაში გამოჩენა არ შეძიძლია, გამითხარეთ მიწა, ჩამაგდეთ შიო... გამოვწყდი ტოლებში... გამეევითიშე!.. მერე ვინ მიქნა ეს, ვინ? ან?..

ჩიტირ. აბა რავა გეგონა ბურჯუაძე! ვინ მოგაშავებდა შენ ამისთანა ქალს... ჩეემტერე ათანასეს, მარა მოგაბა ჟეშთი თუ არა!..

მიხ. ვაი დედაჩემს, ვაი დედაჩემს!..

ჩიტირ. შიშტიბუქ, მოდი აქ. მე და შიშტიბუქაც დღეიდან გარახუტებული ვართ ერთმანეთში. (ეხვევა) ვერავინ დაგვაშორებს...

ეფემ. დაგვესხა კერიაზე წყალი... დაგვესხა...

ჩიტირ. ბურჯუაძე, შენ რას შობი? ვინაა შენი ცოლი? ჩიტოს უღალატე? ჟეშთი ბურჯუაძეს... ბრანწი... ბრანწი ოცდახუთი. . ახალ შეკერილ ტანისამოსს მოუარე ბოშო, არ დაგეჩინჩოს...

ფ ა რ დ ა.

ვ. მალაქიაშვილი.

წერილები ეშმაკისადმი

ამხანაგობა „ძმობა" დროებით დაიშალა. წევრები აქეთ იქით დაიფანტენ. სერბინეს ბალმა ყურები ჩამოყარა.

დ. სამტრედია.—ამ დღეებში აქ' ერთი ფრიად არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. როცა სალამოს მატარებლის მოსვლის დროს სადგურის ბაქანზე ერთი ქართველი მამულიშვილი ექიმი და ვიღაც მანდილოსანი დასეირნობდა, მათ თავს დაესხა ვიღაც ახალგაზდა ებრაელის ქალი და ორივე ქორივით გაწეწა. როგორც იქნა ექიმი და მანდილოსანი ხელიდან დაუსხლტენ და ხელში შეატიეს მანდილოსანმა ნაწნავები და ექიმმა წვერულვაში.

წიწაკა.

—

დ. აბაშა.—ამ დღეებში აქ იჩიდავეს ორმა მღვდელმა—ჯაკობიამ და კვერკველიამ. ჩიდაობას ხალხი ბლომათ დაესწრო. ჯაკობია დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კვერკველიამ დაარღვია ჩიდაობის წესი და ქოლგის ტარით სცემა ჯაკობიას ცხვირ-პირში. მაყურებელნი ძლიერ აღაშფოთა ამ გარემოებამ გამოძიება სწარმოებს.

კვათანის საზოგადოებაში ეკკლესიები გაიფიცენ. მოითხოვენ ახლად აშენებას. წირვა მრავალ ეკკლესიებში შესწყდა.

ფოსტალიონი მესხი წერილების მიღების დროს ყველას მეტრიკულ მოწმობას და ნამსახურობის სიას სთხოვს.

პრივატ ეშმაკი.

—

ს. ხიდისთავი. (გურია) 5 ოქტომბერს ჩაინგრა მანდილოსან-ბარიშნებით დატვირთული მდ. გობაზოულის ხიდი. მრავალი მანდილოსანი ჩავარდა წყალში. ბედათ ამ დროს იქ შეესწრო ერთი მოსული ახალგაზდა, რომელმაც ხელათ „უყვინთა" და მოტივტივე ბარიშნები დარჩობას გადაარჩინა. საინტერესო სანახავი იყო, როცა წყლიდან გამოდიოდა, სამი „ბარიშნა" ერთათ გამოჭქონდა, ერთი კბილებით და თითო ხელებით. ადგილობრივი საზოგადოება მადლობის გადასახდელათ ემზადება.

—

დ. ჩოხატაური—ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა გვერდების ზელა. თუ ვინმეს გაუწყრა ღმერთი და ბაზარში ფეხი ჩამოუცდა, სულ ერთია ქალი იქნება თუ კაცი, წელმოუტეხელი ვერ წავა. ამას წინათ ერთ მოხუც ქალს ისე დაუზილეს გვერდები, რომ ერთი კვირა ლოგინიდან ვეღარ დგება. რამ შეახურა ეს „დამცველი" რაინდები ვერ გაუგიათ.

კიკო.

—

ს. სვირი—ქუთათურმა „იალტისტებმა" ერთი განყოფილება სვირშიაც დაარსეს.

ადგილობრივი მღვდლები ძალიან გაგვინაწყენდენ, რომ წელს მდარე ღვინო დაგვიდგა და ქელეხებში ვეღარ თვრებიან. ამას წინათ ერთ ქელეხში მამა მჭედლიძემ კინაღამ სცემა მიცვალებულის პატრონს, რატომ კარგი ღვინო არ დამალევინეო.

ორსოფელელი.

—

სად. მუხიანი—მირაბს გრიგოლ ბერაძეს ექს მირაბობას აძლევენ. მიზეზი ის არის, რომ ყანების მოსარწყავი არხი რიონიდან პირდაპირ თავის ეზოში მიუშვა.

დიდი გვალვების გამო ჭები დაშრა და რომ ხალხი წყურვილით არ მოკვდეს, გადასწყვიტეს გახსნან კიდევ 29 სამიკიტნო დუქანი.

დესპოტი.

—

ოფიშქვითი.—მარკოზ სანებლიძემ ახალი საშუალება გამოიგონა დამშეულ გლეხების დასახმარებლათ, რადგან ფუთი სიმინდი სამ აბაზ ნახევარზე ნაკლებ არ იყიდება, ის თითო აბაზათ აძლევს მოუსავლობით დაზარალებულ გლეხებს ფუთ სიმინდს. მხოლოდ ფუთი სიმინდის აწონაში სულ ცოტას იღებს, ასე ერთ მანეთს, არც მეტს და არც ნაკლებს.

დესპოტი.

ტოლები. გიგო ლორია უგუნებოთ შეიქნა, რადგან სულ ყველა სახნავ-სათესი მამული ვერ აიღო იჯარით და მუშები ერთმანეთს ვერ გადაჰკიდა. კადინა ვასაძისამ იმაში კი დაარწმუნა ხალხი, რომ უმღვდლოთ ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ ჯერ ის ვერ შეაგნებია შეუძლია თუ არა ხალხს დრამის გადაუხდელათ ცხოვრება.

მერცხალი.

—

შინდისი. პურით და ღვინით განთქმულო
ქართლის სოფელო შინდისო,
ე როგორ გაგმრავლებია
ხალხი უნამუს-სინდისო?
უშიშრათ დანავარდობენ
სიბნელის მელა-ტურები,
უბრალო სიტყვა რო წაგცდეს
დაცქვეტილი აქვთ ყურები.
ვაჩილა აგხედ დაგხედავს
გულზე მიგაბჯენს მახვილსა
ძნელად დაუძვრე ხელიდან
გამოსარჩენში დაცდილსა.

ს. სიმონოვი.

მათრახის ფოსტა.

ბათუმი. „გეჟიდს." არ დაიბეჭდება.

ზესტაფონი. მელას. სხვისი ლექსების პაროდს, ქათმები მოგეპარათ ის აჯობებდა. არ დაიბეჭდება.

გორი. «ეს მე ვარ»-ს. გვჯერა-ბატონო, მაგრამ ვწუხვართ, რომ ეს ჩვენ ვართ, რომლებიც ამაოდ ვეძებთ აზრეს თქვენს ლექსში.

ბაქო. „ნავთს." ამბობენ ნავთი წყალს არ შეირევსო და გვიკვირს თქვენი წერილი ეგრე რამ გააწყალ-წყალა!

სადმე. ს. კიკაჩეიშვილს. მივიღეთ თქვენი ლექსი «მზე და მთვარე» სადაც მთვარე ეუბნება მზეს:

«მთვარემ პასუხად შეუთვალა;
ნურას ჩმახავ ძამიაო!.
შენთვის გაჩერდე გიჯობს
მე ნუ გამიწევ მტრობასო.»

უმჯობესი იქნებოდა ეს ლექსი მთვარეს მზისათვის კი არა, პირდაპირ თქვენთვის მოეწერა.

აბაშა. „ქარ-ცეცხლს." „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების"-ო, ამბობს ქართული ანდაზა. თქვენს ლექსში კი (სატრფოსადმი) ქარი ერთობ სჭარბობს ცეცხლსა.

იყიდება „შრომის" სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი" 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი" და „მათრახი" 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . 2 — 50

3) „ალმანახები": აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე", ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის" სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

იუმორისტულ პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური"

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის" ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ირეთელისა

ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი ჩაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფაშსი მიიღებს თავის ადრესზე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 8.

რედაქტორ-გამომცემელი მ. ტურაბელიძე.